ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

წერილის ნომერი: **39-39231655**
თარიღი: **14/06/2023**

**მისამართი:** ცხინვალის გზატკეცილი. კორპუსი17ა. ბინა33

ქალბატონო თათული,

თქვენი 2023 წლის 13 ივნისის (შემოსული დოკ: N19/39231652-39; 14.06.2023წ) წერილით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით, გაცნობებთ:

-,,ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N1 დადგენილების გათვალისწინებით - წერილობითი ან ზეპირი შეკითხვის ტექსტს საკრებულოს წევრი აბარებს საკრებულოს აპარატს. შეკითხვას შეიძლება ახლდეს დასაბუთება“. 2020 წლიდან დღემდე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არ დარეგისტრირებულა წერილობითი ან ზეპირი ფორმით შეკითხვა საკრებულოს წევრის მიერ, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერი თანამდებობის პირის მიმართ; ასევე საკრებულოს წევრს არ გამოუყენებია ინტერპელაციის პროცედურა.

- 2020 წლიდან დღემდე 4-ჯერ ჩაინიშნა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (2019, 2020, 2021, 2022 წლები), ხოლო რაც შეეხება ბიუჯეტის შესრულების რიგგარეშე ანგარიშის მოსმენას ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ არ განხორციელებულა. ასევე არ განხორციელებულა დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევა საკრებულოს ინიციატივით.

პატივისცემით,

არჩილი ძამაშვილი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს აპარატი-პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი